საქართველოს კანონი

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონს (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 32) დაემატოს შემდეგი შინაარსის III[1] თავი:

„თავი III[1]. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების გამოქვეყნება

მუხლი 30[1]. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების რეესტრი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აწარმოებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების რეესტრს.

მუხლი 30[2]. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების ტექსტების თარგმნა

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში მათი უცხოურენოვანი ტექსტები ქართულად სათარგმნად გადაეცემა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

2. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების უცხოურენოვანი ტექსტების ქართულად თარგმნას აღნიშნული გადაწყვეტილებების/განჩინებების მისთვის გადაცემიდან 180 დღის ვადაში.

მუხლი 30[3]. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/ განჩინებების გამოქვეყნება

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების ქართულად ნათარგმნი ტექსტების გამოქვეყნებას უზრუნველყოფს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ აღნიშნული გადაწყვეტილებების/განჩინებების თარგმნიდან 5 დღის ვადაში.

2. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით თარგმნოს და გამოაქვეყნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სხვა ქვეყნების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები/განჩინებები, რომლებიც შეიცავს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების ნორმების მნიშვნელოვან განმარტებებს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

18 ოქტომბერი 2022 წ.

N1923-IXმს-Xმპ